დასკვნა

საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე საკრებულო უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.

„მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწე პირთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ. ამ წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის

კომისიის თავმჯდომარე: მარინე ბერაძე